27/09/2023

III მსოფლიო კრების ხსენების დღეს ეფესოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში ლიტურგია აღევლინა

22 სექტემბერს, წმინდათა და მართალთა მშობელთა ღნრთისათა იოაკიმესა და ანას და III მსოფლიო კრების (431) ხსენების დღეს, მღვდელმა გიორგი სერგეევმა, რომელიც პასუხისმგებელია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსკოვის საპატრიარქოს მორწმუნეების სულიერ გამოკვებაზე, ლიტურგია აღავლინა ეფესოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც თავის დროზე მსოფლიო კრება გაიმართა. მას თანამსახურება გაუწია მღვდელ ალექსი გოლოვინმა, რომელიც ანტალიაში მოსკოვის საპატრიარქოს თემის სულიერ გამოკვებაზე ზრუნავს.

წირვას ესწრებოდა ანკარაში რუსული სახლის ხელმძღვანელი ალექსანდრე სოტნიჩენკო, ასევე მომლოცველები სტამბოლიდან, იზმირიდან, ანტალიიდან, მარმარისიდან და კუშადასიდან. ბევრმა მათგანმა მიიღო ქრისტეს წმიდა ზიარება.

ლიტურგიის დასასრულს მამა გიორგიმ მორწმუნეებს სიტყვით მიმართა და III მსოფლიო კრების დოგმატი განმარტა.

მღვდელმსახურმა მადლობა გადაუხადა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს სამუზეუმო ქალაქ ეფესოში მდებარე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში ღვთისმსახურების აღსრულების ნებართვისთვის, ასევე, ა.ი. სოლჟენიცინის სახ. რუსული კულტურის საზოგადოების თავმჯდომარეს ა. პონომარიოვს ეფესოში მორწმუნეთა მოსალოცად ჩასვლის ორგანიზებაში დახმარებისათვის.

III მსოფლიო კრება გაიმართა 431 წელს ქალაქ ეფესოში (მცირე აზია) იმპერატორ თეოდოსი უმცროსის (408-450) მეფობისას. კრება მოწვეულ იქნა ეკლესიის მიერ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნესტორის (428-431) ცრუსწავლების განსახილველად. კრებამ დაგმო ნესტორის ერესი და დაადასტურა მართლმადიდებლური სწავლება იმის შესახებ, რომ უფალ იესო ქრისტეში უნდა ვაღიაროთ ერთი პირი (ჰიპოსტასი) და ორი ბუნება – საღვთო და ადამიანური, ხოლო უფლის ყოვლადწმიდა მშობელი უნდა ვადიდოთ, როგორც მარადის ქალწული და ჭეშმარიტი ღვთისმშობელი. კრების წმიდა მამებმა გამოსცეს რვა კანონი და წმინდა კირილე ალექსანდრიელის „თორმეტი ანათემატიზმი ნესტორის წინააღმდეგ“.

mospat.ru/ge